სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების თავისებურებების ანალიზიეკონომიკური თავისუფლებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსების კონტექსტში

ANALYZE OF BUSINESS DEVELOPMENT TENDENCIES IN SOUTH CAUCASUS ACORDING TO ECONOMIC FREEDOM AND GLOBAL COMPETITIVE INDEXES

ევგენი ბარათაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისპროფესორი
საქართველო, თბილისი
თამარ მაჭარაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო,
საქართველო, თბილისი

EVGENI BARATASHVILI,
Doctor of Economic Sciences,
GTU professor
TAMAR MATCHARASHVILI,
Doctoral student of Georgian
Technical University

ANOTACIA

სტატიის მთავარი საკვლევი თემაა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში-საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბიზნესის განვითარების ტენდენციებისგამოვლენა ეკონომიკური თავისუფლებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსების მიხედვით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველო ძირითადად არის თავისუფალ ქვეყანათა კატეგორიაში, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი კი ზომიერად თავისუფალთა კატეგორიაში. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო არის ერთადერთი, რომელიც გამოირჩევა დადებითი ტენდენციით სამივე ფაქტორის (ძირითადი მოთხოვნები, ეფექტიანობის გამაძლიერებელი და ინოვაციები) მიხედვით. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესის კეთების პრობლემები საქართველოში არ არის დაკავშირებული კორუფციასთან და არაეფექტურ საგადასახადო რეგულაციებთან. სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში გამოვლინდა დადებითი ტენდენცია ეფექტიანობის გამაძლიერებელ და ინოვაციების ფაქტორებში, მაგრამ ძირითად მოთხოვნებში ფიქსირდება უარყოფითი ტენდენცია. ამის მიზეზი არის ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული და მაკროეკონომიკური პრობლემები. ასევე კორუფციის პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ამ ქვეყანებში.

სამხრეთ კავკასიის ამ 3 ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო მაღალი ეკონომიკური სტანდარტის მისაღწევად. ასეთი ინდექსები კი კარგი ინდიკატორებია პრობლემების გამოსავლენად და შესაბამისად მათ აღმოსაფხვრელად.

საკვანძოსიტყვები: *ბიზნესი, ეკონომიკური და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები, სამხრეთ კავკასია*

ABSTRACT

The main topic of the article is to define business development trend of South Caucasus countries- Georgia, Armenia and Azerbaijan according to Index of Economic Freedom and Global Competitive Index.

According to the index of Economic Freedom Georgia is Mostly Free country, while Armenia and Azerbaijan are Moderately Free countries. According to Global Competitive index Georgia is only

one which has positive trendin all analyzed factors (e.g. basic requirements, efficiency enhancers and sophistication and innovations). Also we have to remark that doing business problems in Georgia is not connected with corruption and inadequate tax regulations.

In case of Armenia and Azerbaijan, they have a positive trend about efficiency enhancers and innovation and sophistication sub indexes, but basic requirements have negative one. The reason of this is institutional, infrastructural and macroeconomic problems. Also corruption problem which still exists in these countries.

These 3 South Caucasus Countries still have to work hard to achieve high economic standard. Such indexes are good indicators to see where is problem and in which direction country should work to overcome it.

***Keywords**:Business, Economic Indexes, South Caucasus Region*

კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბიზნესის განვითარების ტენდენციებისა და თავისებურებების შესწავლა. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი თავდაპირველად 1986 წელს გვხვდება სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე[1]. აქედან მოყოლებული იგი მრავალმხრივ დაიხვეწა, მოხდა მისი ადაპტირება მიმდინარე ეკონომიკურ გამოწვევებთან და სადღეისოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ქვეყნებს რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით აფასებს, როგორიცაა ბიუროკრატიის მოცულობა, ბიზნესრეგულაციები და კანონის უზენაესობა. ეკონომიკური თავისუფლება არის ყველა ადამიანის ფუნდამენტური უფლება,რათა გააკონტროლოს მისი სამუშაო პირობები და ქონების დაცულობა. ეკონომიკურად თავისუფალ სოციუმში ინდივიდები თავისუფალნი არიან სამუშაოს მოძიებაში, წარმოებასა და მოხმარებაში. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში სამთავრობო სექტორი არის თავისუფლების გარანტორი. ეკონომიკურ თავისუფლებას მოაქვს მეტი მატერიალური დოვლათი. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი წარმოაჩენს დადებით ტენდენციას სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს შორის. ეკონომიკური თავისუფლების იდეა დგას ჯანმრთელი საზოგადოების, ჯანსაღი გარემოს, ადამიანის განვითარების, დემოკრატიულობის, სიღარიბის დაძლევის ფუნდამენტურ პრინციპებზე. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი იზომება 10 რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორის გამოყენებით, რომლებიც გაერთიანებულია არიან 4 ჯგუფად:

1. კანონის უზენაესობა (საკუთრების უფლება, კორუფციისგან თავისუფლება);
2. სამთავრობო სექტორის მასშტაბი (ფისკალური თავისუფლება, სამთავრობო ხარჯვა);
3. რეგულირების ეფექტიანობა (ბიზნესის თავისუფლება, დასაქმებულთა თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება);
4. ღია ბაზრები (სავაჭრო თავისუფლება, ინვესტირების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება).

აღნიშნული მაჩვენებლების მათემატიკური დამუშავების შემდგომ დგინდება ქვეყნების რეიტინგული პოზიციები. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი არის მრავალმხრივ გამოყენებადი აკადემიურ წრეებში, ასევე პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და სხვა ბიზნესით დაინტერესებული პირების მიერ. ეს ინდექსი არის შესანიშნავი საშუალება, რათა მოხდეს 186 ქვეყნის ეკონომიკის გაანალიზება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი კარგი საშუალებაა ასევე კომპარატივისტიკული მიდგომისთვის - მაგალითად ჩვენი ნაშრომისთვის იძლება არაჩვეულებრივ ბაზას სამხრეთ კავკასიის ქვეყანების მდგომარეობის გასაანალიზებლად. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ქვეყნები ჯგუფდებიან შემდეგ კატეგორიებად: თავისუფალი(80-100 ქულა), ძირითადად თავისუფალი (79.9-70 ქულა), ზომიერად თავისუფალი (69.9-60ქულა), უმეტესად არათავისუფალი(59.9-50 ქულა), რეპრესირებული (49.9-40 ქულა), არარანჟირებული.

წარმოგიდგენთ ამ მაჩვენებლის მიხედვით სამხრეთ კავკასიის ქვეყანების მდგომარეობას 2015 და 2016 წლებში.

გლობალური და რეგიონული გამოწვევების მიუხედავად საქართველოს ეკონომიკამ გამოამ-

[1] **https://www.fraserinstitute.org/economic-freedom/history-of-free-the-world**

ჟღავნა მტკიცე რეზისტენტულობა. კორუფციის წინააღმდეგ აქტიურმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. სამთავრობო ხარჯის კონტროლმა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევამ თავისი შედეგები მოიტანა. რეგიონის ორი მეზობელი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველო ინარჩუნებს ძირითადად თავისუფალი ქვეყნის სტატუსს და ამით იგი ერთადერთია რეგიონში. ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ და ანტიკორუფციულმა კამპანიამ უზარმაზარი წინსვლა მოუტანა ქვეყანას. გაღრმავდა ინსტიტუციური რეფორმები და სამართლებრივი დამოუკიდებლობა.

ეკონომიკური ბაზის დივერსიფიკაციამ დიდი გავლენა მოახდინა სომხეთზე. გამარტივების ფართო პროცესმა გაზარდა ეფექტიანობა. ბოლო წლებში აქტიური ფისკალური პოლიტიკის შედეგად შემცირდა სამთავრობო ხარჯვის მოცულობა და ამაღლდა საზოგადოებრივი მენეჯმენტი. სომხეთმა ნაბიჯი გადადგა ეკონომიკური თავისუფლების დონის ასაწევად, თუმცა ჯერ კიდევ აუცილებელია რეფორმების გატარება სამთავრობო გამჭვირვალეობისა და იურიდიული დამოუკიდებლობის კუთხით. სომხეთის ეკონომიკა დგას წარმოებაზე, მომსახურებაზე, ფულად გზავნილებსა და აგროკულტურაზე. მთავრობა მეტწილად დამოკიდებულია სესხებზე მსოფლიო ბანკიდან, საერთაშორისო მონეტარული ფონდისგან, აზიის განვითარების ბაკისა და რაც ყურადსაღებია რუსეთისგან.

აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია ენერგეტიკული სექტორის განვითარებასთან. გლობალურ ვაჭრობაში ჩართვამ აზერბაიჯანის ეკონომიკა გახადა უფრო ღია და ბაზარზე ორიენტირებული. ტრანსფორმაციის პროცესი მიმართულია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონისა და წარმოების პოტენციალის ამაღლებისაკენ. ეკონომიკური ზრდა კვლავ მიმდინარეობს, თუმცა აუცილებელია ღრმა სისტემური რეფორმების გატარება. ენერგო რესურსების არსებობა აზერბაიჯანს აძლევს დიდი უპირატესობას რეგიონში და ხელს უწყობს მას იქცეს ანგარიშგასაწევ ძალად.

კანონის უზენაესობის კუთხით 2016 წელს საქართველოს აქვს მოწინავე პოზიციები სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით.

სამთავრობო სექტორის მასშტაბის მიხედვით ყველაზე მოწინავე პოზიცია ფისკალური თავისუფლების კუთხით აქვს აზერბაიჯანს, ხოლო სამთავრობოს ხარჯების მიხედვით სომხეთს.

რეგულირების ეფექტიანობის მიხედვით ყველა პარამეტრში საქართველო ლიდერობს, როგორც ბიზნესის თავისუფლების, ისე დასაქმებულთა და მონეტარული თავისუფლების მიხედვით.

ღია ბაზრების მიხედვით ყველაზე მოწინავე პოზიცია სავაჭრო თავისუფლების კუთხით უჭირავს საქართველოს, ინვესტირების თავისუფლების კუთხით საქართველო და სომხეთი იყოფენ პოზიციებს, ფინანსური თავისუფლების კუთხით ლიდერია სომხეთი.

ცხრილ 1 -ში წარმოდგენილია 2015 და 2016 წლებში სამხრეთ კავკასიის ამ სამი ქვეყნის რეიტინგული პოზიციები, ქულები და მათ საფუძველზე განსაზღვრული ეკონომიკური თავისუფლების დონეები.

ცხრილი 1

2016 და 2015 წლებში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგული პოზიციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

2015 წელი	მსოფლიო რეიტინგი	რეგიონული რეიტინგი	ძირითადად თავისუფალი (79.9-70 ქულა)	ზომიერად თავისუფალი (69.9-60ქულა)
საქართველო	22	11	73.0	
სომხეთი	52	23		67.1
აზერბაიჯანი	85	17		61.0

2016 წელი	მსოფლიო რეიტინგი	რეგიონული რეიტინგი	ძირითადად თავისუფალი (79.9-70 ქულა)	ზომიერად თავისუფალი (69.9-60ქულა)
საქართველო	23	12	72.6	
სომხეთი	54	23		67.0
აზერბაიჯანი	91	16		60.2

ეკონომიკური თავისუფლების მრუდი კარგად ასახავს ეკონომიკური თავისუფლების დონეს ქვეყნების მიხედვით. მომდევნო გრაფიკზე წარმოდგენილია 2015 და 2016 წლებში ეკონომიკური თავისუფლების მრუდის დინამიკა სამხრეთ კავკასიის ამ სამი ქვეყნის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს საქართველოს უკეთესი პოზიცია ეჭირა და 2016 წელს იგი 0.8 პუნქტით გაუარესდა იგი მაინც ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს რეგიონში, ვინაიდან რჩება ძირითადად თავისუფალ ქვეყანათა კატეგორიაში, მაშინ როცა სომხეთი და აზერბაიჯანი ზომიერად თავისუფალთა კატეგორიას მიეკუთვნებიან.

მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგეს ზეპოლიტიკის დაგეგმვისთვის, ასევე ინვესტორებისთვის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომელსაც გვთავაზობს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, წარმოდგენას იძლევა ქვეყანაში მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხზე, ინსტიტუტების მდგომარეობასა და ტექნოლოგიური მზაობის დონეზე.

რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (მსოფლიო ბანკი [3], საერთაშორისო მონეტარული ფონდი[4] და ა.შ.) სტატისტიკურ მონაცემებსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით.

გრაფიკი 1

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების მრუდის დინამიკა 2015 და 2016 წლებში





მოთხსენებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომლის განსაზღვრას საფუძვლად დაედო კლაუს შვაბის 1979 წელს წარმოდგენილი ორიგინალური იდეა[2]. მისი გამოთვლა წარმოებს 2005 წლიდან.

აღნიშნული ინდექსი შედგება 114 ინდიკატორისაგან და წარმოდგენილია მსოფლიოს 138 ქვეყნისთვის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი არის მნიშვნელოვანი პარამეტრი როგორც ქვეყნების მთავრობების სამოქალაქო

[2] Global Competitive Index Report 2015-2016, p.4

[3] http://www.worldbank.org/

[4] http://www.imf.org/external/index.htm

ორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ფაქტორთა ჯგუფი მოიცავს ქვეყნის განვითარების 3 ძირითად საფეხურს, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს 12 მაჩვენებელს (ცხრილი 2). I საფეხური მოიცავს ძირითად მოთხოვნებს, მასში შედის შემდეგი კომპონენტები: ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება. II საფეხური მოიცავს ეფექტიანობის გამაძლიერებელ კომპონენტებს: უმაღლესი განათლება-ტრენინგი, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა, შრომითი ბაზრის ეფექტიანობა, საფინანსო ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიური მზაობა, ბაზრის მოცულობა. III საფეხური მოიცავს ინოვაციებსა და განვითარების ფაქტორებს: ბიზნესის განვითარება და ინოვაციები.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ პოზიცია 7 საფეხურით გაიუმჯობესა წინა 2015-2016 წლებთან შედარებით, როდესაც იგი იმყოფებოდა 66-ე ადგილზე 4.20 ქულით. 2016-2017 წლებში აზერბაიჯანი იმყოფებოდა 37-ე ადგილზე 4.6 ქულით, მაშინ როცა 2015-2016 წლებში იგი იმყოფებოდა მე-40 პოზიციაზე 4.5 ქულით. 2016-2017 წლებში სომხეთი იმყოფებოდა 79-ე ადგილზე 4.1 ქულით, შესაბამისად პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა. 2015-2016 წლებში სომხეთი იმყოფებოდა 82-ე ადგილზე 40 ქულით.

დავაკვირდეთ როგორ იცვლებოდა საქართველოს მდგომარეობა 2016-2017 წლებში2015-2016 წლებთან შედარებით ფაქტორების მიხედვით (ცხრილი 4). ძირითადი მოთხოვნების ნაწილში საქართველომ მდგომარეობა გაიუმჯობესა 4 საფეხურით და 4.9 ქულით იმყოფება 46-ე ადგილზე. ეფექტიანობის მასტიმულირებელ ნაწილში იგი იმყოფება 69-ე ადგილზე, მდგომარეობა გაიუმჯობესა 8 საფეხურით. ინოვაციური და განვითარების ფაქტორების მიხედვით იმყოფება 113-ე ადგილზე და მდგომარეობა გაიუმჯობესა 5 საფეხურით 2015-2016 წლებთან შედარებით.

ცხრილი2.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ფაქტორთა ჯგუფები

I საფეხური ძირითადი მოთხოვნები	II საფეხური ეფექტიანობის გამაძლიერებელი	III საფეხური ინოვაციები და განვითარების ფაქტორები
• ინსტიტუტები • ინფრასტრუქტურა • მაკროეკონომიკური გარემო • ჯანდაცვა და პირველადი განათლება	• უმაღლესი განათლება-ტრენინგი • სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა • შრომითი ბაზრის ეფექტიანობა • საფინანსო ბაზრის განვითარება • ტექნოლოგიური მზაობა • ბაზრის მოცულობა	• ბიზნესის განვითარება • ინოვაციები

2016-2017 წლებში, საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 59-ე პოზიციაზე იმყოფებოდა 138 ქვეყანას შორის, მისი სარეიტინგო ქულა 4.3 შეადგენდა *(ცხრილი 3).*

ცხრილი 3.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით სარეიტინგო პოზიციების ცვლილებების დინამიკა 2015-2016 და 2016-2017 წლებში

ქვეყნები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
საქართველო	66	4.2	59	4.3
სომხეთი	82	4.0	79	4.1
აზერბაიჯანი	40	4.5	37	4.6

ცხრილი 4.

საქართველოშიგლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ცვლილება 2015-2016-2016-2017 წლებში

მაჩვენებლები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
ძირითადი მოთხოვნები	50	4.8	46	4.9
ეფექტიანობის გამაძლიერებელი	77	4.0	69	4.1
ინოვაციები და განვითარების ფაქტორები	118	3.1	113	3.2

იმავე მახასიათებლების მიხედვით განვიხილოთ სომხეთი და აზერბაიჯანი. ძირითადი მოთხოვნების ნაწილში სომხეთის მდგომარეობა გაუარესდა 2 საფეხურით და 4.4 ქულით იმყოფება 83-ე ადგილზე (ცხრილი 5). ეფექტიანობის

იმავე მახასიათებლების მიხედვით განვიხილოთ აზერბაიჯანი (ცხრილი 6). ძირითადი მოთხოვნების ნაწილში აზერბაიჯანის მდგომარეობა გაუარესდა 6 საფეხურით და 4.9 ქულით იმყოფება 49-ე ადგილზე. ეფექტიანობის მასტიმული-

ცხრილი 5.

სომხეთში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ცვლილება 2015-2016-2016-2017 წლებში

მაჩვენებლები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
ძირითადი მოთხოვნები	81	4.4	83	4.4
ეფექტიანობის გამაძლიერებელი	84	3.8	80	4.0
ინოვაციები და განვითარების ფაქტორები	101	3.3	81	3.5

მასტიმულირებელი ნაწილში იგი იმყოფება 80-ე ადგილზე, მდგომარეობა გაუმჯობესდა 4 საფეხურით. ინოვაციური და განვითარების ფაქტორების მიხედვით იმყოფება 81-ე ადგილზე და მდგომარეობა გაუმჯობესდა 20 საფეხურით.

რებელ ნაწილში აზერბაიჯანი იმყოფება 59-ე ადგილზე, მდგომარეობა გაუმჯობესდა 10 საფეხურით. ინოვაციური და განვითარების ფაქტორების მიხედვით იმყოფებოდა 49-ე ადგილზე და მდგომარეობა გაუარესდა 17 საფეხურით.

ცხრილი 6.

ნაზერბაიჯანში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ცვლილება 2015-2016 და 2016-2017 წლებში

მაჩვენებლები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
ძირითადი მოთხოვნები	43	4.9	49	4.9
ეფექტიანობის გამაძლიერებელი	69	4.0	59	4.2
ინოვაციები და განვითარების ფაქტორები	66	3.6	49	3.8

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი აანალიზებს ქვეყნების მიხედვით ბიზნესის კეთების ძირითად პრობლემებს. იგი 16 მაჩვენებლისაგან შედგება: არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური არასტაბილურობა, ინოვაციების დანერგვისთვის არასათანადო ხელშეწყობა, დაბალი დონის სამუშაო პირობები, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო რეგულაციები, მთავრობის არასტაბილურობა, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რეგულირება, დასაქმებულთა დაცვის არასათანადო პირობები, კორუფცია, კრიმინალის დონე, დაბალი დონის საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

აღნიშნული ფაქტორებიდან თითოეული ქვეყნისთვის გამოვყოთ ბიზნესის კეთების 5 ყველაზე ხელშემშლელი პრობლემა [5].

2016-2017 წლებში საქართველოში ბიზნესის კეთების 5 უმთავრესი პრობლემა აღმოჩნდა: არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა.

2016-2017 წლებში სომხეთში ბიზნესის კეთების 5 უმთავრესი პრობლემა აღმოჩნდა: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, კორუფცია, არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო რეგულაციები.

2016-2017 წლებში აზერბაიჯანში ბიზნესის კეთების 5 უმთავრესი პრობლემა აღმოჩნდა: კორუფცია, ინფლაცია, უცხოური ვალუტის რეგულაცია, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო რეგულაციები.

აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ მეზობელ ქვეყნებში ბიზნესის კეთების პროცესში მოწინავე პოზიციას იკავებს კორუფციის პრობლემა,რაც საქართველოში არ ფიქსირდება. ამასთან, ორივე ქვეყანას აქვს საგადასახადო განაკვეთის და რეგულირების პრობლემა - ფერხდება ბიზნესის წამოწყება. საქართველოში კი მთავარ პრობლემად დასახელებული იქნა არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, რაც მეზობელი ქვეყნების ძირითად პრობლემათა ხუთეულში არ გვხდება.

მონაცემების ანალიზის შედეგად სამხრეთ კავკასიის ამ სამი ქვეყნის მაგალითზე ვლინდება დადებითი ტენდენცია იმისა, რომ სარეიტინგო პოზიციები ჯამურად სამივე ქვეყანამ გაიუმჯობესა. აღნიშნული გარემოება დადებითი სიგნალია როგორც ინვესტორებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომელთა გეგმებშიც შედის ამ სამი ქვეყნიდან რომელიმესთან თანამშრომლობა გარკვეულ სფეროში.

ახლა განვიხილოთ ტენდენციები თითოეული ქვეყნის მიხედვით, ძირითადი მაჩვენებლების, ეფექტიანობის მასტიმულირებელი და ინოვაციების კუთხით.

სამხრეთ კავკასიის ამ სამ ქვეყანათა შორის საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სამივე ასპექტში აქვს წინსვლა. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ განსხვავებით ჩვენი მეზობლებისგან ბიზნესის კეთების სირთულე არაა დაკავშირებული კორუფციასთან და საგადასახადო რეგულაციების მოუქნელობასთან.

სომხეთის შემთხვევაში ძირითადი მაჩვენებლების, ეფექტიანობის მასტიმულირებელი და ინოვაციების კუთხით შემდეგი მდგომარეობაა: ძირითადი მაჩვენებლების გარდა დანარჩენ 2 ასპექტში არის ცალსახა გაუმჯობესება. რაც შეეხება ძირითად მოთხოვნებს იგი 4 პუნქტით გაუარესდა. ამის მიზეზია ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური და მაკროეკონომიკული პრობლემები, რასაც თან ერთვის კორუფცია.

სომხეთის მსგავსად ძირითადი მოთხოვნების კუთხით აზერბაიჯანსაც აქვს 6 პოზიციით გაუარესება, ხოლო დანარჩენი 2 მაჩვენებელში ცვლილებების ტენდენცია დადებითია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი ნავთობის მომპოვებელი ქვეყანაა და აღნიშნული ბუნებრივი რესურსი მას აძლევს დიდ ეკონომიკურ ძალაუფლებას, ინსტიტუციების სიმყიფე და ინფრასტრუქტურული პრობლემები მაინც ახდენს თავის უარყოფით გავლენას ქვეყნის განვითარებაზე.

და ბოლოს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი მაღალი ეკონო-

[5] The Global Competitiveness Report 2016-2017, World Economic Forum

მიკური სტანდარტის მისაღწევად. სწორედ ამიტომ, მსგავსი ინდიკატორების ანალიზს აქვს დიდი მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბიზნეს გარემოს შესწავლის მიზნით. აღნიშნული საშუალებას იძლევა დაძლეული იქნას გამოვლენილი ნაკლოვანებები და დაისახოს სათანადო გეგმა სამომავლოდ მათი გამოსწორებისთვის. ეს კი სავარაუდოდ ხელს შეუწყობს ინვესტორების მოზიდვასა და შესაბამისად ინვესტიციების გაზრდას.

ლიტერატურა/REFERENCES

[1]. **MillerTerry, Anthony B.Kim,** 2016 Index of Economic Freedom-Promoting economic Opportunity and Prosperity, Institute for Economic Freedom and Opportunity. 484 p.

[2]. **MillerTerry, Anthony B.Kim**, 2015 Index of Economic Freedom-Promoting Economic Opportunity and Prosperity, 492 p.

[3]. **Schwab Klaus,** Global Competitiveness Report 2016-2017, World Economic Report, 383 p.

[4]. **Schwab Klaus,** Global Competitiveness Report 2015-2016, World Economic Report, 385 p.

[5]. **Gechbaia B.,** Economical Priorities And Trends of The Caucasian Regions Under Globalization (Competitiveness, Issues, Challenge's, Opportunities). Monograph, Tbilisi, 2013. p., 150-151